



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აკოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

დიზაინის ფაკულტეტი

სამრეწველო დიზაინი

Industrial Design

პროგრამის ხელმძღვანელები :

ჯუმბერ ბეჭვაია, ასოცირებული პროფესორი,
სვეტლანა მხჩიანი, ასოცირებული პროფესორი

დამტკიცებულია თსსა ფაკულტეტის საბჭოს მიერ
2023 წლის 5 აპრილის სხდომის ოქმი № 5
თსსა აკადემიური საბჭოს
2023 წლის 24 აპრილის სხდომის ოქმი № 23

პროგრამის სახელწოდება : 0212.1.2 სამრეწველო დიზაინი Industrial Design

ფართო სფერო (მიმართულება) : 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები Arts and Humanities

ვიწრო სფერო (დარგი/სპეციალობა) : 021 ხელოვნება Arts

დეტალური სფერო (ქვედარგი/სპეციალიზაცია) : 0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი Fashion, Interior and Industrial Design

განათლების საფეხური : უმაღლესი განათლების მეორე საფეხური/მაგისტრატურა (7)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია : ხელოვნების მაგისტრი სამრეწველო დიზაინში Master of Fine Arts in Industrial Design

მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნა : მაგისტრატურის სრული კურსის წარმატებით გავლისა და საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომის მისაღებად მაგისტრმა უნდა დააკმაყოფილოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები. მან უნდა მოიპოვოს ECTS-ის შესაბამისი მინიმუმ - 120 კრედიტი.

სწავლების ენა : ქართული

სწავლის ხანგრძლივობა : 2 წელი (4 სემესტრი)

პროგრამის მოცულობა : პროგრამა „სამრეწველო დიზაინი“ მოიცავს - 120 კრედიტს (ECTS), მათ შორის:

- სპეციალობის დისციპლინები - 80 კრედიტი
- არჩევითი დისციპლინები - 28 კრედიტი
- საუნივერსიტეტო დისციპლინები - 12 კრედიტი

1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ.

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75 კრედიტისა

1 სემესტრი მოიცავს - სასწავლო კვირათა ერთობლიობას და სასესიო პერიოდს, მათ შორის, 20 კვირას, აქედან, სააუდიტორიო მეცადინეობები - 15 სასწავლო კვირა

სააუდიტორიო მეცადინეობების დასრულების შემდეგ - დასკვნითი გამოცდა.
დასკვნითი გამოცდებისთვის განკუთვნილია - 2 კვირა და დამატებით გამოცდისათვის 1 კვირა.

საწარმოო პრაქტიკა - 2 კვირა.

სასწავლო კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური ოდენობა - არაუმეტეს 45 საათი.

სემესტრის ხანგრძლივობა დგინდება რექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით „სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ“.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა :

პროგრამაზე ჩასარიცხად აუცილებელია სამხატვრო აკადემიაში უცხო ენის და სპეცკომპოზიციის გამოცდების ჩაბარება.

გამოცდებზე წინაპირობის გარეშე დაიშვებიან ხელოვნების ბაკალავრის ხარისხის მქონე პირები, რომელთაც აქვთ ვიზუალურ ხელოვნებაში შემავალი სპეციალობა. ბაკალავრის ხარისხის მქონე სხვა პირები გამოცდებზე დასაშვებად წინაპირობის სახით გადიან გამოცდას ხატვაში.

აღნიშნულ პირებს ძირითად გამოცდებზე დასაშვებად მოეთხოვებათ ხატვაში დადებითი ქულის მიღება (50-ზე მეტი, 100-ქულიანი შეფასების პირობებში).

პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით www.art.edu.ge. მოქმედებს ცხელი ხაზი.

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია :

ხელოვნების მაგისტრი სამრეწველო დიზაინში და ეძლევა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი “დიპლომის დანართი“.

პროგრამის ანოტაცია:

სამრეწველო დიზაინის მიმართულება მოიცავს სამრეწველო – ტექნიკური და ექსკლუზიური – ტექნიკური პროფილის დიზაინის სრულ სპექტრს.

მასში შედის: ყველა სახის საყოფაცხოვრებო, სამრეწველო, სატრანსპორტო, დასვენების, გართობის, გარემოს კეთილმოწყობის, სპორტის და სხვადასხვა ტიპის სპეციალური ტექნიკის დიზაინი. სამრეწველო დიზაინის სპეციალობა თემატურად ასევე ნაწილობრივად „ფარავს“ ერთისმხრივ არქიტექტურას (მაგ. გარემოს კეთილმოწყობის ობიექტები, საპარკე მოწყობილობები და სხვა) და გრაფიკულ დიზაინს (მაგ. შეფუთვა, ვიზუალური კომუნიკაციის ობიექტები და სხვა).

სამრეწველო დიზაინის სამაგისტრო პროგრამა, საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, ოპტიმალურად სინთეზირებული და პრიორიტეტების მიხედვით დაბალანსებული სახით მოიცავს სასწავლო კურსების კონკრეტულ სპექტრს, რომელიც ერთისმხრივ გათვლილია მაგისტრანტთა საქართველოს სამრეწველო-სამომხმარებლო პირობებთან ადაპტაციაზე, ხოლო მეორესმხრივ, თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნებისადმი

შესაბამისობაზე. პროგრამაში შემავალი დისციპლინების პრიორიტეტული ღერძი (დიზაინპროექტირება, მაკეტირება-მოდელირება, ციფრული მოდელირება) გამდიდრებულია ტექნოლოგიების შემსწავლელი დისციპლინების დიფერენცირებით (თანამედროვე სამრეწველო ტექნოლოგიები და თანამედროვე საინდემწარმო ტექნოლოგიები), დასაქმების სპექტრის გაფართოების მიზნით. დასაქმების გაადვილებას ემსახურება ასევე დისციპლინა „სტარტაპ ტექნოლოგიები“.

პროგრამა მოიცავს ასევე აუცილებელ საბაზისო (სპეცხატვა, სპეცფერწერა, სპეცქანდაკება) და საუნივერსიტეტო დისციპლინებს (უცხო ენა, ხელოვნების ანალიტიკური კურსი, პედაგოგიკა, მენეჯმენტი).

პროგრამაში ბოლო სემესტრი მთლიანად ეძღვნება სადიპლომო ნაშრომს, რომელიც მაგისტრატურის არსიდან გამომდინარე წარმოადგენს კვლევით-ანალიტიკურ შემოქმედებით პროექტს და მოიცავს როგორც მოცემული თემის კონცეპტუალურ ხედვას, ისე კონკრეტულ დიზაინერულ გადაწყვეტას.

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა არის წინა პროგრამის განვითარება ახალი მოთხოვნების შესაბამისად. ის თვისობრივად წარმოადგენს ამ ეტაპზე პროგრამული განვითარების ჯაჭვის ბოლო რგოლს 1961 წლიდან.

პროგრამის მიზანი :

სამრეწველო დიზაინის სამაგისტრო პროგრამის მიზანია ბაკალავრთა პროფესიული მომზადების აყვანა თვისობრივად ახალ საფეხურზე, სადაც ცოდნის შემდგომი გაღრმავება- სრულყოფა ხდება როგორც სამეცნიერო -კვლევით-ანალიტიკური, აგრეთვე შემოქმედებითი - იდეურ-კონცეფტუალური თვალსაზრისით.

პროგრამა ასევე მიზნად ისახავს პრაქტიკულ-შემოქმედებითი უნარების სრულყოფას და ტექნიკურ-ტექნოლოგიური საკითხების უკეთესად ათვისებას, მათშორის უახლესი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, რეალურ საბაზრო პირობებთან მაქსიმალური შესაბამისობის მისაღწევად. ამ მიზნით პროგრამაში გამიჯნულია თანამედროვე სამრეწველო და საინდემწარმო ტექნოლოგიები, რითაც მიიღწევა პროფესიული პრაქტიკულ-საშემსრულებლო უნარების გაფართოება და დასაქმების გაადვილება. დასაქმების მიზანს ემსახურება დისციპლინა „სტარტაპ ტექნოლოგიები“, ასევე პედაგოგიკის და მენეჯმენტის სასწავლო კურსები, რომლებიც გამიზნულია მაგისტრანტების სოციალურ-ადმინისტრაციული აქტივობების გასაძლიერებლად და გასაღრმავებლად, რითაც მათ უჩნდებათ ახალი, განსხვავებული პროფილით მუშაობის შესაძლებლობები.

პროგრამის მიზნობრივი ორიენტაციის სისწორეზე გარკვეულწილად მეტყველებს მომზადებული მაგისტრების მაღალი კვალიფიკაცია და განსაკუთრებით ის ფაქტი, რომ ყველა მათგანი დასაქმებული და წარმატებულია.

სწავლება/სწავლის მეთოდები :

სწავლება/სწავლის მეთოდები ეფუძნებიან სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს და განაპირობებენ სათანადო მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე სწავლება-სწავლების მეთოდები მიმდინარეობს შემდეგი ფორმატით :
ლექცია, ლექცია-პრაქტიკუმი, ინტერაქტიულ სწავლება, ლაბორატორიული, სემინარი, ვორქშოპი, ინდივიდუალურ და ჯგუფურ მუშაობა, დამოუკიდებელი მუშაობა, შემოქმედებითი პროექტი. საჭიროების შემთხვევაში ონლაინ და/ან ჰიბრიდული ფორმით.

დასაქმების სფეროები :

გასული საუკუნის ბოლოს საქართველოში მომხდარმა პოლიტიკურმა და საზოგადოებრივ – ეკონომიკურმა ცვლილებებმა ბუნებრივი ასახვა ჰპოვა ქვეყნის სამრეწველო-ტექნიკურ პოტენციალზე და გამოიწვია მისი სტრატეგიის ტრანსფორმაცია-ადაპტაციის აუცილებლობა, რაც თავისთავად გულისხმობს სამრეწველო კრიზისს, რომელმაც თავისმხრივ გამოიწვია სერიოზული პრობლემები სამრეწველო დიზაინერების დასაქმების თვალსაზრისით. სამხატვრო აკადემიის სამრეწველო დიზაინის მიმართულებამ იმთავითვე სტრატეგიული კურსი აიღო ერთდროულად ორი მიმართულებით, - ერთისმხრივ საქართველოში არსებულ საბაზრო რეალიებთან ადაპტაციისკენ და მეორესმხრივ, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი სამრეწველო დიზაინერების მომზადების უნარის შენარჩუნებისკენ, რა სტრატეგიაც დღესაც ხორციელდება. ამდენად, სამრეწველო დიზაინის სამაგისტრო პროგრამა, საბაკალავროს ანალოგიურად, გათვლილია ერთისმხრივ ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებზე, ხოლო მეორესმხრივ, საერთაშორისო სტანდარტების შენარჩუნებაზე.

საქართველოში სამრეწველო დიზაინის მაგისტრების – როგორც მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების დასაქმება შეიძლება მოხდეს საშუალო და მცირე საწარმოებში, ან ინდივიდუალურად (ინდემწარმედ), მათ შორის ექსკლუზიური დიზაინმოდერნიზაციის (TUNING) მიმართულებით. დასაქმების თვალსაზრისით აქტიური თანამშრომლობაა საქართველოს სამრეწველო დიზაინერთა ასოციაციასთან, „ტექნოპარკთან“ და სსსტ „დელტა“-სთან.

დასაქმება შეიძლება იყოს ასევე პრაქტიკულ – შემოქმედებითი მუშაობა ბიუროს (ფირმის) შემადგენლობაში ან პედაგოგიური მუშაობა, როგორც საშუალო და პროფესიულ ისე უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე თანამშრომლობა სარეკლამო, გარემოს კეთილმოწყობის, არქიტექტურულ და სხვა ორგანიზაციებთან, მათ შორის ადმინისტრაციული, კრეატიული და სხვა თვალსაზრისით ხელმძღვანელობა.

საქართველოს სამრეწველო დიზაინერებისთვის საერთაშორისო მასშტაბით დასაქმების ყველაზე გავრცელებული ფორმატია ფრილანსერობა. ასევე აქტუალურია სხვადასხვა კონკურსებში და პროექტებში მონაწილეობა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა :

სასწავლო კომპონენტის შეფასება ასეულიანია, მრავალკომპონენტური. შეფასების კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილი კონკრეტული საგნის სილაბუსში.

თსსა-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, სტუდენტი არ დაიშვება დასკვნით გამოცდაზე, თუ მის მიერ გაცდენილი საკონტაქტო საათების რაოდენობა კონკრეტულ სასწავლო საგანში 50% ან მეტია.

სპეციალობის დისციპლინებში სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის შეფასება, სემესტრის განმავლობაში ითვალისწინებს 2 შეფასებას :

შუალედური შეფასება - 40 ქულა (მაქსიმალური)

დასკვნითი გამოცდა - 60 ქულა (მაქსიმალური)

სასწავლო კომპონენტის შეფასების საერთო ქულა - 100 ქულა (მაქსიმალური).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება # 3, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის შესახებ, მუხლი 4, პუნქტი 7, პუნქტი 8 საფუძველზე დიზაინის ფაკულტეტის, სამრეწველო დიზაინის მიმართულების სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება შემდეგი სისტემით (დამატებით გამოცდაზე მიღებული ქულა არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას) :

ქულები	შეფასება		შეფასების კვალიფიკაცია
91% - 100%	A	ფრიადი	დადებითი
81% - 90%	B	ძალიან კარგი	დადებითი
71% - 80%	C	კარგი	დადებითი
61% -70%	D	დამაკმაყოფილებელი	დადებითი
51% - 60%	E	საკმარისი	დადებითი
41% - 50 %	FX	ვერ ჩააბარა. სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება	უარყოფითი
0% - 40%	F	ჩაიჭრა. კურსი თავიდან უნდა გაიროს (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)	უარყოფითი

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება :

მაგისტრანტს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც არის მაგისტრი (ან მაგისტრთან გათანაბრებული) ან დოქტორი. სამაგისტრო ნაშრომი სრულდება მეოთხე სემესტრის განმავლობაში და მისი მოცულობა შეადგენს 30 კრედიტს. ის საკურსო ნაშრომისგან განსხვავდება როგორც მოცულობით, ისე შეფასების პრინციპით, რაც გულისხმობს 100 ქულიან შეფასებას სპეციალური საფაკულტეტო კომისიის მიერ.

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სამრეწველო-ტექნიკური პროფილის ნაკეთობის, მოწყობილობის, კომპლექსის, გარემოს ან სხვა სახის ობიექტის განახლებული ან პრინციპულად ინოვაციური დიზაინის დასრულებულ პროექტს, რომელშიც შედის შემდეგი ძირითადი კომპონენტები:

1. გრაფიკული პროექტი (სტანდარტული მასშტაბის ორთოგონალური პროექციები ნახაზში და ფერში, იზომეტრიული გამოსახულება, ერგონომიკული სქემა, აუცილებელი ჭრილები და კვეთები);
2. მაკეტი (მოდელი) სტანდარტულ მასშტაბში;
3. კვლევით-ანალიტიკური რეფერატი, ვიზუალური მასალის დართვით (10-20 გვერდი).

სამაგისტრო ნაშრომის თემატიკიდან, გადაწყვეტის სპეციფიკიდან, პრეზენტაციის ხასიათიდან და სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, სამაგისტრო ნაშრომი შეიძლება წარმოდგენილი იქნეს განსხვავებული სახით და ფორმატით. მაგ. ძირითად კომპონენტებს შეიძლება დაემატოს აუდიო-ვიდეო მასალა, ანიმაცია, პერფორმანსი და სხვა ელემენტი. ექსკლუზიური დიზაინის სათანადო მოცულობის ნამდვილი ნაკეთობის (მაგ. TUNING) შექმნის შემთხვევაში დასაშვებია იგი წარმოდგენილი იქნეს მხოლოდ რეფერატთან ერთად (პროექტის და მაკეტის გარეშე), მაგრამ უნდა დაერთოს კვლევა-ძიებითი ესკიზები და სხვა დამატებითი ინფორმაცია.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:

- თემის აქტუალობა და კონცეპტუალური გააზრება - 10 ქულა
- გადაწყვეტის ორიგინალობა - 10 ქულა
- დიზაინის ფუნქციონალობა - 10 ქულა
- დიზაინის კონსტრუქცია - 10 ქულა
- დიზაინის ტექნოლოგია - 10 ქულა
- დიზაინის ერგონომიკა და უსაფრთხოება - 10 ქულა
- დიზაინის ესთეტიკა და სტილისტიკა - 10 ქულა
- პროექტის შესრულების ხარისხი - 10 ქულა
- რეფერატი - 10 ქულა
- პრეზენტაცია - 10 ქულა

სამაგისტრო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციას და მის არსებით ანალიტიკურ დაცვას ახორციელებს მაგისტრანტი. ანოტაციის ფორმატში მოხსენებით გამოდის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, ხოლო დასკვნით რეცენზიას წარმოადგენს ნაშრომის რეცენზენტი.

პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია დიზაინის, სამრეწველო დიზაინის, მოდის დიზაინის და ტექსტილის დიზაინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელთან (12.08.2022 - დიზაინის, სამრეწველო დიზაინის, მოდის დიზაინის, ტექსტილის დიზაინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი / ბრძანება MES 8 22 0000899779)

სწავლის შედეგები :

- **ცოდნა / გაცნობიერება**

სამრეწველო დიზაინის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

1. გაცნობიერებული აქვს სამრეწველო დიზაინის ტრადიციები, როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში და მათი მიმართება დარგის თანამედროვე ტენდენციებთან, რისი გათვალისწინებითაც ახდენს პროფესიული ამოცანის კონცეფტუალურ გააზრებას და ორიგინალური იდეების ჩამოყალიბებას;
2. გააჩნია სამრეწველო დიზაინის სტილისტური ტენდენციების ღრმა ცოდნა, რის საფუძველზეც ახდენს მათ ადექვატურ იმპროვიზირებას;
3. აქვს სამრეწველო დიზაინის სერიული და ექსკლუზიური ნიმუშების შექმნის პრინციპების ღრმა სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი კრეატიული ან/და ტექნოლოგიური იდეების შემუშავების და განხორციელების საშუალებას;
4. აქვს პედაგოგიკის და მენეჯმენტის საბაზისო ცოდნა;
5. აცნობიერებს ცოდნის დამოუკიდებელი გაღრმავების და თვითგანვითარების აუცილებლობას და ამ ცოდნას ითვალისწინებს სწავლის და კარიერული განვითარების დაგეგმვის პროცესში;

- **უნარი**

სამრეწველო დიზაინის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს:

6. ფლობს შემოქმედებითი, კვლევითი და საშემსრულებლო სამუშაოს კომპლექსური დაგეგმვის, განხორციელების და დროის რაციონალური მართვის უნარს (სრული ციკლის განხორციელება იდეიდან ნაკეთობამდე, მათშორის კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით);
7. გააჩნია მულტიდისციპლინურ გარემოში (სამრეწველო დიზაინის მომიჯნავე სპეციალობების თავისებურებათა გათვალისწინებით) მოქმედების, შემოქმედებითი აზროვნების, ორიგინალური იდეების გენერირების და კონცეფტუალური გააზრების უნარი;
8. გააჩნია კომპლექსური პრობლემის გადასაწყვეტი ორიგინალური ხერხების ძიების უნარი, ფლობს დიზაინის უახლეს ტენდენციებზე და მიდგომებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარს და გააჩნია მხატვრული ნამუშევრის (შემოქმედების, ტენდენციის, ტექნოლოგიის და ა.შ.) შესახებ ანალიტიკური მსჯელობის, კრიტიკული შეფასების და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
9. შეუძლია საჭირო მასალებით და ტექნოლოგიებით პრაქტიკული პროფესიული სამუშაოების შესრულება, უსაფრთხოების წესების დაცვით;
10. გააჩნია სამუშაო (ორგანიზაციული, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ა.შ.) კომუნიკაციის უნარი აკადემიურ და პროფესიულ, აგრეთვე ფართო საზოგადოებასთან (დამკვეთი გუნდი, ბიურო, ფირმა და ა.შ.) როგორც ქართულ, აგრეთვე უცხო ენაზე;
11. ფლობს ცოდნის სხვებისთვის გადაცემის უნარს და შეუძლია სასწავლო პროცესის ეფექტური დაგეგმვა და ორგანიზება, ფლობს მენეჯერულ უნარებს, აქვს ჯგუფთან მუშაობის და კოლექტიური პროდუქტის შექმნის უნარი;

სასწავლო რუკა

საგნების დასახელება / MFA	კურსზე დაშვების წინაპირობა	I	II	III	IV	EGTS
საბაზისო დისციპლინები		5	5	18		28
საუნივერსიტეტო დისციპლინები		6	6			12
უცხო ენა I	წინაპირობა არ აქვს	3				
უცხო ენა II	უცხო ენა I		3			
პედაგოგია	წინაპირობა არ აქვს	3				
მმენეჯმენტი	წინაპირობა არ აქვს		3			
სპეციალობის დისციპლინები		20	20	10	30	80
დიზაინპროექტირება I	წინაპირობა არ აქვს	5				
დიზაინპროექტირება II	დიზაინპროექტირება I		5			
დიზაინპროექტირება III	დიზაინპროექტირება II			5		
მაკეტირება-მოდელირება I	წინაპირობა არ აქვს	5				
მაკეტირება-მოდელირება II	წინაპირობა არ აქვს		5			
ციფრული მოდელირება I	წინაპირობა არ აქვს	4				
ციფრული მოდელირება II	ციფრული მოდელირება I		4			
ციფრული მოდელირება III	ციფრული მოდელირება II			4		
თანამედროვე სამრეწველო ტექნოლოგიები I	წინაპირობა არ აქვს	3				
თანამედროვე სამრეწველო ტექნოლოგიები II	წინაპირობა არ აქვს		3			
თანამედროვე საინდმეწარმეო ტექნოლოგიები I	წინაპირობა არ აქვს	2				
თანამედროვე საინდმეწარმეო ტექნოლოგიები II	წინაპირობა არ აქვს		2			
სამაგისტრო ნაშრომი	დიზაინპროექტირება III				30	
საწარმოო პრაქტიკა	წინაპირობა არ აქვს	1				
საწარმოო პრაქტიკა	წინაპირობა არ აქვს		1			
საწარმოო (პედაგოგიური) პრაქტიკა	წინაპირობა არ აქვს			1		
სულ		31	31	28	30	120

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი (სპეციალობის დისციპლინებში) :

პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს ახორციელებენ - თსსა აკადემიური პერსონალი და სპეციალურად მოწვეული პედაგოგები

№	პედაგოგი სახელი/გვარი	სტატუსი	დისციპლინა
1.	ჯუმბერ ბეჭვაია	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • დიზაინპროექტირება III • სამაგისტრო ნაშრომი
2.	სვეტლანა მხჩიანი	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • ციფრული მოდელირება I • ციფრული მოდელირება II • ციფრული მოდელირება III • სამაგისტრო ნაშრომი
3.	გიორგი ტატიაშვილი	ასისტენტ პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • მაკეტირება-მოდელირება I • სამაგისტრო ნაშრომი
4.	თამაზ არუნაშვილი	ასისტენტ პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • მაკეტირება-მოდელირება II • სამაგისტრო ნაშრომი
5.	კახაბერ ბოჭორიშვილი	მოწვეული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • დიზაინპროექტირება I • დიზაინპროექტირება II
6.	თეიმურაზ პულუზაშვილი	მოწვეული პედაგოგი	<ul style="list-style-type: none"> • თანამედროვე სამრეწველო ტექნოლოგიები I • თანამედროვე სამრეწველო ტექნოლოგიები II • საწარმოო პრაქტიკა
7.	კარლო შარტავა	მოწვეული პედაგოგი	<ul style="list-style-type: none"> • თანამედროვე საინდმეწარმეო ტექნოლოგიები I • თანამედროვე საინდმეწარმეო ტექნოლოგიები II